



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლოლაძე თინათინ ალექსანდრეს ასული

ლოლაძე თინათინ ალექსანდრეს ასული (1. IV. 1908, სოფ. ხრეთი, ჭიათურის მუნიციპალიტეტი, - 28. III. 1981, თბილისი), მსახიობი და რეჟისორი. საქართველოვნების დამს. მოღვაწე (1961). 1922-27 მუშაობდა ჭიათურის მუშათა კლუბთან არსებულ დრამ. წრეში მოკარნახედ, მღეროდა ამავე კლუბთან არსებულ მომღერალთა გუნდში (ხელმძღვ. ს. კავსაძე). ლ. სცენაზე პირველად გამოვიდა ჭიათურის თეატრში, სადაც შეასრულა გოგიას როლი პ. ირეთელის „ქრისტიანეში“ (1923). 1928-იდან ამავე თეატრის მსახიობია. მუშაობდა ქუთაისის (1929-34), ჭიათურის (1934-35, 1938-41, 1945-48), სოხუმის (1936-37), ბორჯომის (1937-38), გორის (1945-48), ზუგდიდის (1948-49), ცხინვალის (1949-57) თეატრებში. 1961-62 იყო ჭიათურის მაღაროელთა კლუბის დირექტორი.

ლ-ს სხვადასხვა თეატრში დადგმული აქვს მ. კიკვაძის „დიმიტრი თავდადებული“, მ. ჯაფარიძის „ჩვენებურები“ და „ჟამთაბერის ასული“, ს. შანშიაშვილის „ხევისბერი გოჩა“ (ა. ყაზბეგის ნაწარმოების მიხედვით), ლ. მილორაგას „კერპ-ჭიუტა“, ვ. სობკოს „ასი მილიონი“ და სხვ. აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული როლები: ნელი, იამზე (გ. ქელბაქიანის „დაგვიანებული სინანული“), მარო (ს. მთვარაძის „სურამის ციხე“), გულთამზე (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“), ელენე (ა. წერეთლის „პატარა კახი“), დემდემონა, ჯულიეტა (უ. შექსპირის „ოტელო“, „რომეო და ჯულიეტა“). „ოტელოში“ ლ-ს პარტნიორობას უწევდა ა. იმედაშვილი.

ლ. წერდა რეცენზიებს, ლექსებს, სტატიებს, კითხულობდა ლექციებს ლიტ-რისა და თეატრის შესახებ.
